

შენიშვნები

2017 წლის მაჩვენებლების განსხვავება ადრე გამოქვეყნებულ 2017 წლის ოპერატიულ (წინასწარ) მონაცემებთან გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით:

მოქმედ საწარმოთა გენერალური ერთობლიობის ბაზის განახლებითა და საწარმოთა მოცვის ხარისხის გაუმჯობესებით.

საწარმოთა მხრიდან ოპერატიული (წინასწარი) მონაცემების დაზუსტებით.

1. ბიზნეს სტატისტიკის მონაცემები არ მოიცავს:

საქმიანობის კლასიფიკატორის NACE rev. 1.1-ის მიხედვით:

საქმიანობის სექტორებს: J (საფინანსო საქმიანობა – 2006 წლიდან), L (სახელმწიფო მმართველობა), P (შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავ-შირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის), Q (ექს-ტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა); 52.62.2 (საცალო ვაჭრობა ბაზრებსა და ბაზრობებზე);

საქმიანობის კლასიფიკატორის NACE rev. 2-ის მიხედვით:

საქმიანობის სექტორებს: K (საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა – 2006 წლიდან), O (სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება), T (შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის), U (ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები); 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე);

2006 წლიდან - კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

2. გამოკვლევის რესპონდენტებს წარმოადგინენ მხოლოდ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმოები:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- კომანდიტური საზოგადოებები
- სააქციო საზოგადოებები
- კოოპერატივები
- ინდივიდუალური მენარმეები.

3. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად;
- ფაქტური მისამართის შესაბამისად.

4. მონაცემები დამატებული ღირებულების, შუალედური მოხმარების, ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციებისა და ფიქსირებული აქტივების (ძირითადი კაპიტალის) შესახებ გამოქვეყნდება მხოლოდ წლიური პერიოდულობით.

5. 2006 წლამდე მხოლოდ ქვეყნის ნაერთ მაჩვენებლებში ჩართული იყო ისეთი სათაო საწარმოების მონაცემები, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ მოცემულ ტერიტორიაზე, მაგრამ სამწარმოო საქმიანობას ახორციელებდნენ რამდენიმე რეგიონში. 2006 წლიდან ამგვარი საწარმოების მაჩვენებლები ჩართულია სათაო ოფისის ადგილდებარეობის მიხედვით.

6. საწარმოები ზომის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე.

2017 წლამდე საწარმოთა ზომა განისაზღვრებოდა შემდეგი მეთოდოლოგიით:

მსხვილია საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ ლარს.

საშუალო ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე.

მცირე ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს.

2017 წლიდან საწარმოთა ზომის განსაზღვრის შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს:

მსხვილია საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საშუალო ზომისაა სანარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე ზომისაა სანარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.